გაიხსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის

XXII ყრილობა

მოსკოვი. 17 ოქტომბერი (საკ.ფესი). დღეს დიღის 10 საათზე კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიხსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა. ყრილობა გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა **ნ. ს. ხრუშჩოვმა.**

ხელმძღვანელი ორგანოების — პრეზიდიუმის, სამდივნოს, სარედაქციო და სამანდატო კომისიათა არჩევის შემდეგ ყრილობამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება
2. სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება
3. სკკპ პროგრამის პროექტი
4. სკკპ წესდების ცვლილებათა შესახებ
5. პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა **ნ. ს. ხრუშჩოვმა,** რომელსაც დელეგატები და სტუმრები მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტის, აფიდკომისა და პროფკომის ორგანო

Академиздат Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ, профкома и месткома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА.

№ 30 (344) | გამოცემის მეცხრე წელი შაბათი, 21 ოქტომბერი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

სკკპ XXII ყრილობას მიეძღვნა

ერთი კათედრის სამეცნიერო მუშაობა

უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა, რომელსაც ხელმძღვანელობს ღვაწლმოსილი მეცნიერი ალად. კ. კეკელიძე, ნაყოფიერ სასწავლო მუშაობასთან ერთად დიდ სამეცნიერო საგამომცემლო მუშაობასაც ეწეკა.

წელს კათედრამ „უკვე გამოსცა დოკ. ტრიფონ რუხაძის წიგნი — „ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს".

მალე ბაზარზე გამოვა ალად. კორნელი კეკელიძის „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ფილოლოგიიდან", ტ. VII.

კათედრამ წელს მოამზადა და გამოსაცემად გადასცა უნივერსიტეტის გამომცემლობას კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია" ერთ ტომად (II გამოცემა), რომელიც განკუთვნილია უმაღლესი სკოლების ფილოლოგიური ფაკულტეტების სტუდენტთა სახელმძღვანელოდ.

გამოსაცემად გადაცემულია აგრეთვე ალად. ალ. ბარამიძის მონოგრაფია „ზოთა რუსთაველი" და დოკ. შუბადის „ძველი ქართული მწერლობის კერები", ტ. I.

მომავალი წლისათვის კათედრა გამოაცემდა ამზადებს „ქართული ხალხური ხიტყვიერების" II ტომს (შემდეგელი პროფ. ქს. სიხარულიძე).

მომავალ წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი გამოსცემს ქართული ლიტერატურის ისტორიის ეკვატომეულის II ტომს, რომლის მომზადებაში მონაწილეობას მიიღებს ჩვენი უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის წევრებმა — კ. კეკელიძემ, ალ. ბარამიძემ, ტრ. რუხაძემ, დ. ლ. მენაბდემ.

კათედრა მთელ თავის ამ მუშაობას ბრძოლიერი კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას მიეძღვნის.

დოკ. ლ. მენაბდე

გამომცემლობამ მუშაობა გააცხოველა

სტამბა-გამომცემლობის მუშაობა და მოსამსახურეობა ფართოდ გამოვლენ წინასაყრილობის საქმიანობა. ყრილობის შესახებ ეფუძნა ინიციატივა ივნისის თვეში დაიწყო გაწეული ფრონტი მუშობა, რის შედეგადაც სტამბამ საქმიანი პროდუქციის გეგმა ივლისს, ავგუსტს და სექტემბრის თვეებში სრულად 103%-ით შესრულა.

მიწინავე მუშები გ. ტატარინოვი, ვ. ამეხიანი, ე. სეფაშვილი, ს. ანდრიასოვი, ი. ბეგიანიშვილი, ა. გოგინაშვილი, ს. მაკინაიანი და სხვ.

ყოველდღიურად კალენდარებით ბრძოლა საწარმოო დავალებებს და „ბრძოლიან თვეებიერებულების შემცირებისთვის.

გამომცემლობამ 9 თვის გეგმა წარმატებით შეასრულა. საანგარიშო პერიოდში სახელმწიფოს მიმართ ვალდებულებანი 107,2%-ით, ტირაჟის მიხედვით 151,5%-ით, ხოლო ნაბეჭდი თაბახების მიხედვით — 108,9%-ით.

„საანგარიშო პერიოდში გამომცემლობამ გამოსცა 45 სახელწოდების წიგნი (სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, მონოგრაფიებ), 60-ზე მეტი სახელწოდების პროგრამა, 7 სახელწოდების მეთოდიური ანთოლეგია, 10 სახელწოდების საკონტროლო ბარათები, 37 სახელწოდების ავტორეფერატი და სხვა სასკოლო ლიტერატურა.

ამავე დროს, წარმოებაში 12 სახელწოდების სახელმძღვანელო, რომელიც ჯერ ბოლოს ბეჭდვა, ჯერ ბოლოს გამოიცემა, წელს ბოლოს ბეჭდვა, ჯერ ბოლოს გამოვა ავტორეფერატი 7 სახელწოდების მონოგრაფია.

მომავალი მეოთხეტრიმესი წელს მოუნდა ბეჭდვა 9 სახელმძღვანელო, 3 ენციკლოპედიური ლექსიკონი, 3 ენციკლოპედიური ლექსიკონი, 3 ენციკლოპედიური ლექსიკონი

მთავრობის ჯილდოთი — „შრომის წითელი დროშის ორდენით“ დაჯილდოებულნი

მარცხნიდან მარჯვნივ:
პროფ. **კონსტანტინე ბაქრაძე,**
დოკ. **დიმიტრი მგელაძე,**
პროფ. **ლეონ მელიქსეთ-ბეგი,**
პროფ. **სერგი ელენტი,**
პროფ. **ნიკოლოზ ჯოიავა.**

უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაციის XXI კონფერენცია

უნივერსიტეტის ალკკ ორგანიზაცია, რომელიც 5000-ზე სტუდენტს აერთიანებს, ერთ-ერთი მოწინავე და წამყვანი ორგანიზაციაა დედაქალაქის პირველად კომკავშირულ ორგანიზაციებს შორის. მისმა XXI კონფერენციამ, რომელიც 14 ოქტომბერს ჩატარდა, დაგვანახა, რომ უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაცია ყოველდღიურად იზრდება, კიდევ უფრო მტკიცედ ირაზმება ჩვენი პარტიისა და ხალხის გარშემო ახალ-ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

უნივერსიტეტის ალკკ ორგანიზაციის XXI კონფერენცია ჩატარდა იმ პერიოდში, როდესაც მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენი ახალგაზრდობა, კომკავშირულთა მრავალმილიონიანი არმია არნახული შრომითი და პოლიტიკური აღმავლობით ემზადებოდა მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის შესახვედრად; მაშინ, როდესაც იხილებოდა კომუნიზმის მშენებლობის დიდებული პროგრამა — სკკპ ახალი პროგრამის პროექტი. სწორედ ამიტომ XXI კონფერენციაზე უნივერსიტეტის ალკკ კომიტეტის ანგარიშგება-კრიტიკებთან ერთად, მოსმენილ იქნა მოხსენება სკკპ ახალი პროგრამისა და წესდების პროექტების შესახებ.

ალკკ კომიტეტის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ კონფერენციაზე სიტყვაში მოხსენებით გამოვიდა ალკკ კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნ. ქავთარაძე.

საანგარიშო მოხსენებაში ნაჩვენებული იყო, თუ როგორ პასუხობს უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაცია მის წინაშე დასმულ ამოცანებს, რა მიღწევები და ნაკლოვანებანი გაჩნდა მას მუშაობაში.

საანგარიშო პერიოდში ალკკ კომიტეტის მთელი მუშაობა მიმართული იყო სტუდენტების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისა, მისი მაღალი იდეურობით, პრინციპულობითა და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბებისაკენ. სულ რამდენიმე წლის წინათ ეს მუშაობა უმაღლესი სასწავლებლების კედლებში ჩატარებული საქმიანობით შემოიფარგლებოდა. სწავლის შრომასთან შეერთების კანონმა კი ახალი ამოცანების წინაშე დააყენა უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაცია.

ალკკ კომიტეტი საანგარიშო პერიოდში მთელს ჩვენს სტუდენტობას რაზმავდა მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმად შესწავლისა და მისი ცხოვრებაში გამოყენებისათვის, აბრძოდა სტუდენტობის ერთ ნაწილში მახინჯ გამოვლენებათა აღმოფხვრისათვის. ამისათვის კი იყენებდა პოლიტიკმზრდელობითი მუშაობის სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებს.

საანგარიშო პერიოდში ტარდებოდა ლექციათ-მოხსენებები სხვადასხვა საინტერესო საკითხებზე, თეატრული კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები, ლიტერატურისა და ხელოვნების ახალ ნაწარმოებთა განხილვები, დასვენების საღამოები და სხვ. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ისეთი საინტერესო ღონისძიებები, როგორიცაა შემოქმედებითი შეხვედრები ლენინგრადის, როგორის და ბაკოს უნივერსიტეტების სტუდენტებთან, პოეზიის დიდი საღამო, ეურნალ „საბჭოთა ქალის“ მკითხველთა კონფერენცია, ზეპირი ეურნალის — „დღეები და ადამიანები“ ორი ნომრის კითხვა, ლენინური კომკავშირის 42 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, შეხვედრა ციოლკოვსკის კომუნისტური შრომის ბრიგადების წევრებთან და დამკვრელებთან და სხვ.

საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა, რომ ალკკ კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია სტუდენტობაში შრომითი ჩვევების ჩამოყალიბებისა და მათი შრომითი დასაქმების მხრივ. სტუდენტთა შრომითი საქმიანობა განვლილ პერიოდში უფრო მასიური და სტაბილური გახდა. ზაფხულის არდადეგების პერიოდში უნივერსიტეტის სტუდენტობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო დედაქალაქის კეთილმოწყობაში, გაშენების, გზაფიცაციის, გზებისა და საცხოვრებელი ბინების მშენებლობაში.

საანგარიშო მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სასწავლო-აღმრდელობით პროცესს. აღინიშნა იმ მუშაობის შესახებ, რომელიც ალკკ კომიტეტმა ჩაატარა საანგარიშო პერიოდში მაღალი აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის, სამეცნიერო მუშაობის საინტერესოდ და უფრო ფართო მაშტაბით გაშლისათვის.

კონფერენციაზე აღინიშნა ის დიდი მიღწევები, რომლებიც უნივერსიტეტს გააჩნია თვითშემქმედებაში, სპორტში.

საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნული იყო, რომ უნივერსიტეტის ალკკ ორგანიზაციას მიღწევებთან ერთად გააჩნია სათანადო ნაკლოვანებანიც. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ბრძოლას მაღალი აკადემიური მოსწრებისა და ლექციათ-სემინარების უმიზეზოდ გაცდენების აღმოფხვრისათვის. ამ საქმეში ალკკ კომიტეტის მუშაობას ახასიათებდა კამპანიურობა და ნაკლებშედეგიანობა, რამაც თავი იჩინა 1960—1961 სასწავლო წელს, განსაკუთრებით პირველ სემესტრში, როცა აკადემიური მოსწრება საგრძნობლად დაეცა რიგ ფაკულტეტებზე. ისე მაგალითად, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე აკადემიური მოსწრება გასული სასწავლო წლის I სემესტრში 56.4%-ის ტოლი იყო, ხოლო ფიზიკის ფაკულტეტზე — 52,3%-ს. საგრძნობლად იმატა ლექციათ-სემინარების უმიზეზოდ გაცდენებმაც. გასულ სასწავლო წელს სტუდენტების მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენილი საათების რაოდენობა 125 375-ს შეადგენს. საშუალოდ უნივერსიტეტის ყოველ სტუდენტზე 25 არასაპატიო მიზეზით გაცდენილი საათი მოდის. ყველაზე დიდი რაოდენობის გაცდენები აქვთ ფიზიკისა (25 513 საათი) და ფილოლოგიის (22 242 საათი) ფაკულტეტებს სტუდენტებს.

აღინიშნა ისიც, რომ ზოგიერთი ღონისძიება ვერ ტარდებოდა მაღალ დონეზე, აკლდა კონკრეტულობა, ნაკლებად იყო დაკავშირებული ცხოვრებასთან და, ამიტომაც, ვერ იწვევდა მსმენელთა დაინტერესებას.

ბაზი გაესვა იმ ბარეგოობებს, რომ ჯერ კიდევ სუსტად არის დაყენებული მუშაობა აქტივთან, მიდან რიგ ფაკულტეტებზე მოეგალიტებელია შინაკომკავშირული მეურნეობა, ჯერ კიდევ ცოტა ყურადღება ახალგაზრდობის ესოფტეტიკური აღზრდის მიზნით და სხვ.

საანგარიშო მოხსენების ირგვლივ კამათში გამოსულმა“ ამხანაგებმა: უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. ე. ხარაძემ, ფიზიკის ფაკულტეტის დეკანმა აკად. ვ. მამასახლისოვმა, ისტორიის ფაკულტეტის დეკანმა პროფ. დ. გერტენშვილმა, სკკ. ალკკ ცკ-ის მდივანმა ნ. გუგუგენიძემ, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგემ კ. ზაიტენშვილმა. სტუდენტებმა ვ. ბერიძემ, გ. გოგიშვილმა, ა. გოცირიძემ, ლ. ნადვეტაიძემ, რ. მიშველაძემ, ს. მესხმა ალკპარაკეს კომკავშირული მუშაობის აქტუალურ მხარეებზე, წამოაყენეს საქმიანი და საინტერესო წინადადებანი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით.

სკკპ ახალი პროგრამისა და წესდების პროექტების შესახებ კონფერენციაზე მოხსენება გააკეთა დოც. გ. გამსახურდიამ. მან საინტერესოდ და ნათლად დააზასიათა ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა. ილაპარაკა ჩვენი ახალგაზრდობის როლზე პროგრამით დასმულ ამოცანათა ცხოვრებაში გატარების საქმეში და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის სტუდენტი-ახალგაზრდობის, მისი ავანგარდის — ალკკ ორგანიზაციის მთელი მუშაობა, უნდა გართვიქნას ამ ისტორიულ დოკუმენტში დასახული ამოცანათა შესაბამისად. კამათში გამოსულმა სტუდენტებმა გამოხატეს მთელი ჩვენი ახალგაზრდობის აზრები, მხურვალედ მოიწონეს რა სკკპ ახალი პროგრამისა და წესდების პროექტები.

დასასრულ, უნივერსიტეტის ალკკ XXI კონფერენციამ აირჩია ალკკ კომიტეტი 11 ამხანაგის შემადგენლობით.

უნივერსიტეტის ალკკ ორგანიზაციის XXI კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ორჯონიკიძის სახ. რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. კ. ჯანკელიანმა, საქართველოს კომპარტიის თო ორჯონიკიძის სახ. რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. მოსელიშვილმა, საქ. ალკკ ცკ-ის მდივანმა ამხ. ნ. გუგუგენიძემ, საქ. ალკკ ცკ-ის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგემ ამხ. რ. მეტრეველმა, საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. პეტრიაშვილმა, საქ. ალკკ თო ორჯონიკიძის სახ. რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. რუხაძემ.

* * *

შედგა ახალარჩეული კომიტეტის პირველი სხდომა. ალკკ კომიტეტის პირველ მდივნად სხდომამ აირჩია ამხ. ნ. ქავთარაძე, მეორე მდივნად ამხ. ი. ნანტაძე, მდივნებად ამხ. ამხ. ა. ბუსერიძე და ი. ნემსიწვერიძე.

ორგანიზებულად დავიწყეთ

ფილოლოგიურ მუშაობაში გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს პარტიულ პროპაგანდას, რომელიც გაუჯობესებისათვის პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1960 წლის 9 იანვრის ცნობილი დადგენილების საფუძველზე დიდი მუშაობა ჩატარდა. ამ მხრივ გარკვეული წარმატებები აქვს მოპოვებული ქიმიის ფაკულტეტის პარტიულ ორგანიზაციას.

ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან პროპაგანდის დაკავშირებისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარა ფაკულტეტის პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელმაც გასული სასწავლო წლის ნაკლოვანებათა გათვალისწინებით მაღალ ორგანიზებულ დონეზე დაიწყო ახალი სასწავლო წელი პარტიული გასათლების ქსელში. მიმდინარე სასწავლო წელს პოლიტსწავლებაში გყრილ თითქვეულ ფაკულტეტის 63 პროფესორ-მასწავლებელი და თანამშრომელი. წელს ფაკულტეტზე ჩამოყალიბებულია 1) დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელი სემინარი (ხელმძღვანელი დოც. ა. გონაგანელი) და 2) მიმდინარე პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობის შემსწავლელი სემინარი (ხელმძღვანელი დოც. ვ. გურგენიძე).

აღნიშნულმა სემინარებმა პირველი ოქტომბრიდან ორგანიზებულად დაიწყეს მუშაობა. პირველ მეცადინეობაზე მსმენელებს გაეცნოთ მუშაობის გეგმა და თემატიკა. სემინარებში გაერთიანებულმა ამხანაგებმა ა. ფარფუტაძემ, თ. ბრეშიძემ, ვ. ყაჭეიშვილმა, შ. მიქაძემ და სხვებმა უკვე აირჩიეს თემები დასამუშავებლად.

აღნიშნული სემინარები თავის პირველ მეცადინეობას მიუძღვნიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მასალების შესწავლას.

ფაკულტეტს პარტიული ორგანიზაცია ყოველნაირად შეეწყობა ხელს სემინარების მიღებულ სასწავლო წლის მანძილზე.

მ. ხუნდაძე,
ქიმიის ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანი.

ფაკულტეტის კომკავშირულ კრებაზე

ამ დღეებში გაიმართა ისტორიის ფაკულტეტის II კურსის კომკავშირულთა საერთო კრება, რომელზეც განხილულ იქნა ლექციათ-სემინარებზე დასწრების საკითხი.

მოხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა სასტიკად გააკრიტიკეს კურსის ზოგიერთი სტუდენტი (აჯიევი, ძიძიგური, ქველიძე, მინაძე და სხვები) ლექციათ-სემინარების უმიზეზოდ გაცდენისათვის. მთელმა კოლექტივმა იმსჯელა ამ ამხანაგებზე და დაგმო მათი საქციელი.

ლექციების გამცდენმა ამხანაგებმა კრების წინაშე პირობა დადეს, რომ მომავალში ისინი გამოასწორებენ თავიანთ დანაშაულს, სისტემატიურად და ესწრებიან ლექციათ-სემინარებს და კარგი ნიშნის მიმცემნი იქნებიან სხვებისათვის.

ა. ბაბუკიშვილი,
კურსბიუროს მდივანი

გ. ლიკარიშვილი,
კურსბიუროს მდივნის მოადგილე

პარტიის XXII ყრილობას მიეძღვნა

პარტიის XXII ყრილობას მიეძღვნა იერიდიული ფაკულტეტის პარტიული ბიუროსა და სახელმწიფო სამართლის კათედრის ინიციატივით ჩატარებული საჯელმწიფო სამართლის კათედრის ღია სხდომა, რომელზეც მოსმენილ იქნა დოცენტ გ. ერემეევის სიტყვა „ლენინი“.

პარტიის ისტორიაში საბჭოთა სახელმწიფოებრივი და სოციალისტური დემოკრატიზმის შესწავლაში“ ანგარიში

სურათზე: ფიზიკის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტები — მედეა გოგოლაძე და ელგა აირაპეტოვა მექანიკის ლაბორატორიაში ჩატარებული მუშაობის დროს.

ფოტო ლ. ჯილავიანისა

მთავრობის ჯილდოები — „საპატიო ნიშნის ორდენით“ დაჯილდოებულნი

მარცხნიდან მარჯვნივ:
დოც. **გიორგი გამხარაშვილი,**
პროფ. **ვაგან მამასახლისოვი,**
პროფ. **ბორის ფურცხვანიძე,**
პროფ. **იასონ ხეცეშვილი,**
პროფ. **ნინო ციცეშვილი.**

ზემოდან ქვემოთ:
მარიამ ეორგიევაშვილი
დაჯილდოებულია
მედლით „მრომითი მამაცობისათვის“
დოც. **ნიკოლოზ ქადაგიძე,**
დოც. **ივანე კვაჭაძე,**
დაჯილდოებული ორივ
მედლით —
„მრომითი ვარსკვლავისათვის“

სტუდენტთა სამეცნიერო წრეთ მუშაობა განაახლა

სსრკ ხალხთა ისტორიის სტუდენტთა სამეცნიერო წრის მეშაობა თითქმის [illegible]ნილი იყო. შესაბამისი კათედრა[illegible]ა და ფაკულტეტის ხელმძღვანელ[illegible]ის უმეტესი ჩარეცის შედეგად გა[illegible]ული სასწავლო წლის I სემესტრში [illegible]წრეში მოხდა ორგანიზაციული ცვლილებები. აქტიურად გაეწიოდეს წრის [illegible]ხმარების ხელი კათედრის წევრებ[illegible]ა. წრის მეშაობის საკითხი სპეციალურად განიხილა ფაკულტეტის აღკა[illegible]ბილრომ (მდივანი ამხ. ი. ნემსოწერი[illegible]ძე) და სათანადო ღონისძიებაც დასა[illegible]ა. ამ ღონისძიებათა გატარების შედ[illegible]ად წრეს გამოაცოცხლა მეშაობა.

1960 წლის დეკემბრის ბოლო [illegible]ოებებში მედგა სსრკ ხალხთა ის[illegible]ორიის სტუდენტთა სამეცნიერო [illegible]ის სხდომა, რომელსაც კათედრის [illegible]წარმომადგენელთა დიდი უმრავლ[illegible]ობა დაესწრო. კათედრის გამგე, [illegible]როფესორი აკაკი სურგულაძე წრის [illegible]წევრებს ესაუბრა სტუდენტთა სა[illegible]ეცნიერო წრის მნიშვნელობის შე[illegible]ახებ, სტუდენტის მეცნიერული მსო[illegible]ფლმეცნიერების ჩამოყალიბებისა და [illegible]ა კვლევაძიებითი ჩვევების გამოშუ[illegible]ავების საკითხებზე. მან მრავალი [illegible]ბალითი მოიყვანა ცნობილ ქართველ ის[illegible]ტორიკოსთა მოღვაწეობიდან.

პროფესორმა იასე ენინაძემ წრის [illegible]ეობა აკადემიკოსმა.

ავტად სანტერესო იყო პროფესორ [illegible]ინ ზეციშვილის საუბარი წრის [illegible]ევრებთან.

სტუდენტების მიერ სასურველი თე[illegible]ებია აირჩევა, მათზე ხელმძღვანე[illegible]ლების მიმაგრებამ და დროულმა კონსულტაციებმა. ერთი მხრით, ხოლო, მეორე მხრით, საჭირო ლიტერატურის საკმარისი რაოდენობით შერჩევამ ხელი შეუწყო წრის მეშაობის გაძლიერებაში.

აღნიშნულ ღონისძიებათა შედეგად დაბრკოლებები დაძლეულ იქნა. სისტემატიურად ვიწვევდით წრის სხდომებს, წაკითხულ მოხსენებებზე შენიშვნებითა და შეფასებებით გამოდიოდნენ კათედრის წევრები, წრის სხდომებს ესწრებოდნენ კათედრის ასპირანტები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ წრის მეშაობაში.

გასული სასწავლო წელს წრამ 9 თემა მოიმზადა, რომელთაგანაც 6 საუკეთესო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე იქნა გატანილი.

წრის წევრები აქტიურად თანამშრომლობდნენ ორჯონიკიძის სახელობის რაიონის კომკავშირის რაიკომის ახალგაზრდა მომხსენებელთა წრეშიც. ჩვიტარეთ ლექციები საშუალო სკოლის მაღალკლასელ მოსწავლეებთან, ჭესწავლეები ყურადღებით ისმენდნენ ჩვენს მიერ წაკითხულ ლექციებს და აქტიურად მონაწილეობდნენ კამათში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით ჩვენმა სამეცნიერო წრამ პროფესორ ა. სურგულაძის ხელმძღვანელობით მოამზადა სამი რეფერატული ხასიათის მოხსენება, რომელთაგან ორი წაკითხულ იქნა თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკასა და მეორე ავტომშენებელ ქარხანაში.

მთელი გულისყურით უსმენდნენ მომხსენებელ უ. ნინსკის თბილისის მეორე ავტომშენებელი ქარხნის თანამშრომლები. მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი.

ამასწინათ სსრკ ხალხთა ისტორიის კათედრის სხდომამ მოისმინა მოხსენება ჩვენი სამეცნიერო წრის მეშაობის შესახებ. შეკითხვებს შეკითხვები მოსდევდა, ნათლად ჩანდა, თუ რაოდენ დიდად იყო დაინტერესებული კათედრის თითოეული წევრი წრის მეშაობით.

აღინიშნა ნაკლოვანებებიც, რაც მეშაობაში გაგვაჩნდა, დაისახა კონკრეტული ღონისძიებები მათ აღმოსაფხვრელად.

მომდინარე სასწავლო წლისათვის, წინასწარ გათვალისწინებული გეგმის მიხედვით, რომელიც ჩვენი სამეცნიერო წრის გამგეობამ შეიმუშავა, სსრკ ხალხთა ისტორიის სტუდენტთა სამეცნიერო წრის სხდომებზე წაკითხული იქნება ხუთმეტამდე მოხსენება. აქედან საუკეთესოებს სტუდენტთა საუნივერსიტეტო კონფერენციაზე გავიტანთ. ჩვენი წრის სამი წევრი თბილისის აღკა კომიტეტის დავალებით მოხსენებებს წაკითხავს დედაქალაქის წარმოება-დაწესებულებებსა და სკოლებში. რამდენიმე სტუდენტი ჩაებმება ორჯონიკიძის სახ. რაიონის აღკა რაიკომის ახალგაზრდა მომხსენებელთა ჯგუფის მეშაობაში.

გ. ციციშვილი,
სსრკ ხალხთა ისტორიის სტუდენტთა სამეცნიერო წრის თავმჯდომარე.

უფროსკურსელები თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ პირველკურსელებს

ამასწინათ ლენინგრადელი ფაკულტეტის აღკა მიწოს ინიციატივით მოეწყო მეგზურა პირველკურსელ სტუდენტებთან.

სტუდენტებს წიგნზე დამოუკიდებლად მეშაობისა და სემინარების მომზადების საკმეში საუკეთესო გამოცდილება გაუზიარა IV კურსის ფრიადოსანმა სტუდენტმა ო. გამყრელიძემ.

V კურსის ფრიადოსანი სტუდენტი, კურსბიუროს მდივანი გ. ბორჩხაძე სტუდენტებს ესაუბრა სტუდენტის მოვალეობაზე, კეცვასა და დისციპლინაზე.

IV კურსის სტუდენტმა ო. ეახტანგოვმა თავისი საუბრის თემად აირჩია სტუდენტის მონაწილეობა საზოგადოებრივ შრომა-საქმიანობაში, სპორტსა და თვითმოქმედებაში.

პირველკურსელ სტუდენტებიდან შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ კურსბიუროს მდივანი დ. ხაჩიძე და სტუდენტი გ. ეხვაია. მათ პირველკურსელი სტუდენტების სახელით მადლობა გადუხადეს უფროს ამხანაგებს მეგობრული დარიგებებისათვის.

გ. თეთრაუაშვილი.

კომუნისტური აღზრდის მძლავრი იარაღი

ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა თავისი სიდიდით და მნიშვნელობით ერთ-ერთ წამყვან ბიბლიოთეკას წარმოადგენს რესპუბლიკაში. მისი წიგნადი ფონდი დღეისათვის მილიონ ნახევარზე მეტ ტომს შეადგენს — ქართულ, რუსულ, აღმოსავლურ ენებზე. სამეცნიერო ბიბლიოთეკაში წიგნი დაცვისა და მოკლის მიზნით ამ[illegible]ნარე წელს შეიქმნა წიგნის პიროვნისა და რესტავრაციის განყოფილება. შეძენილია და უკვე დაიწყო შეშაობა მიკროფილმების დადგმებსა ამპარატში, რითაც ახლო მომავალში პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ერთიანად გამოიყენონ ჩვენი უნიკალური ფონდები.

ბიბლიოთეკა ემსახურება არა მარტო უნივერსიტეტის ბრიგადალაბორატორიებს, არამედ რესპუბლიკის [illegible] სამეცნიერო დაწესებულებებს [illegible] თანამშრომელსა და მეცნიერებელ[illegible]ს.

ბიბლიოთეკამ შეაბრუნებელ გაიზარდა. საერთაარო-ბიბლიოგრაფიული [illegible]ეშობა. განყოფილება ატარებს რა[illegible]ულ წერილობით, ისე ზეპირ კონ[illegible]ულტაციებს ასპირანტებთან, დიპლ[illegible]ტებთან და უფროსი კურსის სტუ[illegible]ტებთან. აჩვენა მათ ბიბლიოგრა[illegible]ულ საძიებლებზე დამოუკიდებელ [illegible]ეშობას.

[illegible]ნივერსიტეტის ერთი [illegible]ი ორი სტუდენტია დარბაზი მომ[illegible]ურებს უწევს უნივერსიტეტის [illegible]ულ კოლექტივს. 1961—62 სასწავ[illegible] წლიდან უნივერსიტეტის პირველ კორპუსში მდებარე სტუდენტთა დარბაზში განხორციელდა თავისუფალი დაშვება მკითხველებისა თარიღებან, რამაც დიდი სიხალე და გაუმჯობესება შეიტანა სტუდენტთა მომსახურებაში. სპეციალურ ლიტერატურა, რომელიც სტუდენტთა დარბაზში არ აღმოჩნდება, სტუდენტს შეუძლია გამოითხოვოს სამეცნიერო ბიბლიოთეკიდან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, უნივერსიტეტის რექტორატისა და პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით და დახმარებით მკვეთრად გაუმჯობესდება დაესწრებელ სტუდენტთა მომსახურება. დაკომპლექტდება განყოფილება ბიბლიოგრაფიულ ნაშრომებზე. ახლო მომავალში მიეწყობა სახელმძღვანელოების გადაცემა ბიბლიოთეკიდან. ბოლო ჟეთაისში მცხოვრებ დაესწრებელ სტუდენტთათვის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტთან შეიქმნება სტუდენტთა ბიბლიოთეკის ფილიალი.

ბიბლიოთეკათაშორისი ინფორმაციის გაბსნილი ვაქვს ჩვენი ქვეყნის 114 ბიბლიოთეკასა და საზღვარგარეთის (პრაგისა, ლეიპციგი, ბერლინისა და ბუდაპეშტის უნივერსიტეტები) 3 სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან, რაც გვეხმარება მკითხველთა ამ ლიტერატურით დაკმაყოფილების საქმეში, რომელიც ჩვენს ბიბლიოთეკას არ გააჩნია.

1960—61 სასწავლო წელს კიდევ ერთი გაფართოება წიგნების ერთიანი ფონდისა. ამიტომ ეცალა ვიწარმოებთ 10 დემონსტრაციული ქვეყნის 39 სამეცნიერო დაწესებულებასა და 32 კაპიტალისტური ქვეყნის 76 სამეცნიერო დაწესებულებასთან. ჩვენი ქვეყნის შიგნით 298 /საკავშირო და რესპუბლიკის ტერიტორიაზე 40 სამეცნიერო დაწესებულებასა და ბიბლიოთეკასთან.

ბიბლიოთეკამ გამოიწერა საზღვარგარეთიდან 10 000 მინეთის ლიტერატურა (ჟურნალები, წიგნები), რომელიც მიღებისთანავე გამოიფენება ფარეზე და მათ შესახებ ინფორმირებულ იქნებიან სათანადო კოთედრები, ფაკულტეტები და სხვა.

თვალსაჩინო ღონისძიებაა ის, რომ რეკტორატმა გამოყო თანხა ბიბლიოთეკაში არსებული მდიდარი უცხოური ლიტერატურის დასამუშავებლად, რაც ეკვე მიმდინარეობს. ეამალესი პარტიული ხელმძღვანელი ორგანოების გადწყვეტილებით ჩვენს სამეცნიერო ბიბლიოთეკას წელს შეეძლება 35 212 ტომი წიგნი ყოფილი პარტიული სკოლის ბიბლიოთეკის ფონდიდან ქართულ, რუსულსა და ევროპულ ენებზე.

სამეცნიერო ბიბლიოთეკა მეშაობს უნივერსიტეტისა და ჩვენი ბიბლიოთეკის სამეცნიერო მოღვაწეობის ისტორიის შეგროვებაზე და მასთან ერთად მეშვიდეზე ბიბლიოგრაფია: „მეცნიერება საქართველოში“. 1961 წელს სამეცნიერო ბიბლიოთეკამ შეტად საპირო საქმე გაკეთა — გამოცემულ იქნა „ტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემათა ბიბლიოგრაფია“.

სერიოზული მეშაობა ტარდება ბიბლიოთეკის თანამშრომლთა იდეურ-პოლიტიკური ცოდნის ამაღლების მიზნით. თანამშრომლთა მეტი ნაწილი ჩამბელია სხვადასხვა წრეში. ნაყოფიერ მეშაობას ეწევა სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის შემსწავლელი წრე, რომლის ხელმძღვანელია დოც. ლ. ალექსიძე. ამ წრეში გაერთიანებულია ბიბლიოთეკის 32 თანამშრომელი. პარტიული ორგანიზაცია სერიოზულ ყურადღებას აქცევს საგაზეთიო მეშაობის გაფართოებას. დიდი მეშაობა მიმდინარეობს პარტიის ახალი პროგრამისა და წესების შესასწავლად. პარტიული ორგანიზაცია სათანადოდ წარმართავს კომუნისტთა და უპარტიო ამხანაგთა მეშაობას XXII ყრილობის მასალების საფუძვლიანად შესწავლის თვალსაზრისით. ბიბლიოთეკის კომუნისტებიდან სამი ამხანაგი სწავლობს მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით დაესწრებულ საბიბლიოთეკო სწავლებაში ჩაბმულია 4 ამხანაგი. ადგილზე ეწყობა საბიბლიოთეკო საქმიანობის შესწავლის კურსები და სხვ.

სამეცნიერო ბიბლიოთეკის პარტიულმა ორგანიზაციამ, დირექციასთან ერთად, შეიმუშავა პრაქტიკული ღონისძიება, რომ ეფრო კონკრეტული დახმარება გაეწიოს სასწავლო კადრებს წიგნით მომარაგების საქმეში. დაწესდება ერთიანი კოორდინაცია დაკომპლექტებაში, რითაც მოისპობა პარალელობა.

ბიბლიოთეკის პარტიული ორგანიზაცია, მთელ ჩვენი კოლექტივის აქტივთან ერთად წარმატებით ახორციელებს შეშალეური კომუნისტური პარტიის მიერ დასახულ ამოცანას, რათა, ჩვენს ქვეყანაში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასთან ერთად ეზარდოთ ახალი ადამიანები, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენი წელილი შევიტანოთ პარტიის XXII ყრილობის გადწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარების დად საქმეში.

ა. რატიანი,
სამეცნიერო ბიბლიოთეკის პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოადგილე.



მოსკოვი. კრემლის დიდი თეატრის შენობა.

განვამტკიცოთ დისციპლინა სტუდენტთა შორის

ჩვენს უნივერსიტეტს დიდი ტრადიციები გააჩნია ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდისა და მომზადების საქმეში. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მთელს თავის მუშაობას ყოველთვის ენერგიულად წარმართავდა და წარმართავს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების უზრუნველსაყოფად. ახალგაზრდა კადრების მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების საფუძვლიანი ცოდნით შესაიარაღებლად; უურადღების ცენტრშია სახსოვალო-აღმზრდელობითი საკითხები, ზედმიწევნით გათვალისწინებული ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის ყველა პირობა.

რექტორატისა და პარტიული კომიტეტის მიერ დროულად ჩატარებული მთელი რიგი ღონისძიებების შედეგად ორგანიზებულად დაიწყო ახალი სასწავლო წელი. სწავლის დაწყების პირველი დღეებიდანვე გაჩაღდა ბრძოლა ლექციათ-სემინარების გამცდენთა წინააღმდეგ, გაიშალა მუშაობა სტუდენტთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის. ამასთან, სწავლის დაწყებიდან მხოლოდ თვენახევარი გავიდა და ამ შედარებით მცირე დროშიც უკვე იჩინა თავი ცალკეულ სტუდენტთა უპასუხისმგებლობამ. ზშირია სტუდენტთა მიერ ლექციათ-სემინარების არასაპატიო მიზეზით გაცდენებისა და დისციპლინის დარღვევის შემთხვევები; უკვე ახსარებზე გამოჩნდნენ „პროფესორნალი“ გამცდენი სტუდენტები; 15 სექტემბრის ბრძანებით უნივერსიტეტის რექტორმა საყვედური გამოუცხადა დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტებს — ლამზირა ლორთქიფანიძეს, ნათელა ახვლედს, ნელი პაპუნაშვილს და ციცინო ჭეშხაძეს ლექციათ-სემინარების სისტემატურად გაცდენებისა და წესრიგის დარღვევებისათვის. ასევე, საყვედური გამოეცხადა იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტს ციცინო კახიანს, რომელმაც 23 აკადემიური საათი უმიზეზოდ გააცდინა. III კურსის სტუდენტმა თ. ჯიბლაძემ და IV კ. სტუდენტმა ზ. ჯაფარიძემ თავიც არ შეწუხებულ დროზე წარმოედგინათ დეკანატში ავადმყოფობის დამადასტურებელი ცნობები, რის გამოც მათ გაცდენები არასაპატიოდ ჩაეთვალათ და ბრძანებით საყვედურიც მიიღეს, ამავე ფაკულტეტის III კურსის სტუდენტს ელზა არსოშვილს ალბათ სავერთოდ დაავიწყდა, რომ იგი ჯერ კიდევ ირიცხება სტუდენტად; მიუხედავად იმისა, რომ მას სასტიკი საყვედური აქვს გამოცხადებული უკანასკნელი გაფრთხილებით, დღემდე არ გამოჩენილა ლექციებზე და დეკანატმა მის შესახებ თითქმის არაფერი იცის.

არის ერთი რიგი სტუდენტებისა, რომლებიც ცდილობენ ყველაფერი თავიანთი ნებასურვილზე წარმართონ, არავის ყურადღებას არ აქცევენ და უპატივცემლოდ ექცევიან უნივერსიტეტის სახელს. 29 სექტემბრის ბრძანებით უნივერსიტეტის რექტორმა საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით გამოუცხადა ფილოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტს ტ. ფილიშვილს, რომელიც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ნებართვის გარეშე გავიდა ქალაქიდან სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით. ტ. ფილიშვილი სპეციალურ ცნობილი მოეყვანა, სპორტის ოსტატია, მაგრამ ეს მას ხრულებით არ აძლევს უფლებას აბუჩად იგდოს ჩვენი უნივერსიტეტის სპორტული ორგანიზაცია და როგორც მას მოესურვება ისე მოიქცეს; ფილიშვილზე ბევრად სახელოვანი სპორტსმენები აღუზრდია უნივერსიტეტს. სპორტულ სექციებს, მაგრამ მათ არასდროს ეთაყვანებოდათ ჩვენი უნივერსიტეტის სპორტასაზოგადოების წევრობა და მისი ინტერესების დაცვა, ტ. ფილიშვილი კი ახლაც სპორტასაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ წევრად ირიცხება და ამ საზოგადოების ხაზით მოწყობილ შეჯიბრებსა და შეჯიბრებზე მონაწილეობასთან დაკავშირებით სავსებით უნებართვოდ გაემგზავრა ქ. როსტოვს. ცხადია, მას გაცდენილი ლექციები არასაპატიოდ ჩაეთვალა და დამსახურებული სასჯელიც მიიღო. ცნობილია, რომ მასალები გამოცდების დროს ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ჩარიცხვისას, თანაბარ პირობებში, უპირატესობას ანიჭებს გამოჩენილ სპორტსმენებს; ეს გასაგებიცაა. ეს ერთი მხრივ სტიმულს აძლევს ახალგაზრდობას ჩაებას სპორტში, ხოლო მეორე მხრით ხელს უწყობს უნივერსიტეტის სპორტული კოლექტივის შემდგომ განმტკიცებას. მაგრამ ყველა ჩვენი სტუდენტი-სპორტსმენი როდი აფასებს ამას სათანდოდ. ზოგი მათგანი სულ სხვა სპორტული ორგანიზაციების სახელით გამოდის ხოლმე რესპუბლიკურ დონისძიებებში და ავიწყდება, რომ იგი პირველ რიგში უნივერსიტეტის სპორტულ ღირსებას უნდა იცავდეს. დრო ამ შეუსაბამობას ბოლო მოეღოს.

გასულ წელს რექტორის სპეციალურ ბრძანებასთან დაკავშირებით ქმედითი ღონისძიებები გატარდა ლექციათ-სემინარების უმიზეზოდ გაცდენების აღმოსაფხვრელად. ამას უდავოდ კარგი შედეგი მოჰყვა. საკითხა ალმაშნული ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებანი კვლავაც მთელი სიმკაცრით გავატართო იმით წინააღმდეგ, ვისაც ლექციებზე დასწრების ნაცვლად უნივერსიტეტის დერეფნებში ან სხვა ადგილებში ხეირნობა ურჩევნია.

ზოგი სტუდენტის უწესრიგობა კიდევ უფრო უხეშ ფორმებში ვლინდება. ქიმიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა თ. თალაკვაძემ, რომელიც თავის ჯგუფში ჯგუფხელიც იყო, დაავიწყა ეთიკის ელემენტარული ნორმები და უხეშად შეეპასუხა თავის მასწავლებელს. მას სასტიკი საყვედური გამოუცხადა და მოიხსნა ჯგუფხელობიდან. კიდევ უფრო სამარცხვინო ფაქტი: მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა ლევან პატარაიამ მძიმე ჭრილობა მიაყენა თავის თანაკურსელ ამბაზაკს, რისთვისაც იგი უნივერსიტეტიდან გაირიცხა და კანონის წინაშე მკაცრად აგებს პასუხს.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები ნათლად მეტყველებენ, რომ მიუხედავად გატარებული ღონისძიებისა, ჯერ კიდევ იგრძნობა სერიოზული ნაკლოვანებები სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში. სტუდენტთა დისციპლინის ამაღლებისა და მაღალი აკადემიური მაჩვენებლების აუცილებელი და ძირითადი პირობაა ლექციათ-სემინარებზე დასწრების უზრუნველყოფა; გამცდენთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ყველაზე საგულისხმო საშუალებაა გამცდენთა ზუსტი აღრიცხვა. მართალია, ეს ჯგუფხელს ევალება, მაგრამ უფრო შედეგიანი იქნება, თუ აღრიცხვაში „ჯგუფხელს ეონტროლს გაუწევს საგნის ხელმძღვანელი. ფაკულტეტების დეკანატები პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები კიდევ უფრო გადამწყვეტ ზომებს უნდა იღებდნენ შეგნებული დისციპლინის განსამტკიცებლად. საჭირო ამოქმედეს ფაკულტეტებზე შექმნილი ამხანაგური სასამართლოებიც დისციპლინის დამრღვევ სტუდენტთა საქმეების განსახილვად.

ი. ზაალიშვილი

სახელმწიფო სამართლის სტუდენტთა სამეცნიერო წრეში

განაახლა მუშაობა იურიდიულ ფაკულტეტთან არსებულმა სახელმწიფო სამართლის სტუდენტთა სამეცნიერო წრემ (წრის ხელმძღვანელი დოც. გ. ერემრავი), რომელმაც ოქტომბრის პირველ რიცხვებში თავის სხდომებზე უკვე მოისმინა 2 მოხსენება.

საინტერესო იყო II კურსის სტუდენტის ვ. მეტრეველის მოხსენება — „საბჭოთა სახელმწიფო სამართლის საგანი და სისტემა“. რომელშიაც მომხსენებელმა დაწვრილებით გააშუქა სახელმწიფო სამართლის განსაზღვრის ირიცხება ... ძალზე საინტერესო იყო მოხსენება თემაზე — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა—სოციალისტური რევოლუციის ფორმების შესახებ“, რომელიც წაიკითხა III კურსის სტუდენტმა დ. დოლბაძემ (თანამომხსენებელი რ. პაპავა).

სპორტის კრებული

უნივერსიტეტის XII სპარტაკიადა

5 ოქტომბერს დაიწყო უნივერსიტეტის XII ტრადიციული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება კალათბურთში ექვთა გუნდებს შორის. მონაწილეობა-და 10 ფაკულტეტი. გუნდები დაყოფილი იყვნენ ორ ქვეჯგუფად. პირველ ხუთ ადგილზე გასულნი გუნდებმა მოიპოვეს ფინალში მონაწილეობის უფლება. ამით გარდა, ფინალში მონაწილეობისათვის დაშვებულ იქნა უნივერსიტეტის სპორტული კლუბის ჭაბუკთა ძლიერი გუნდი.

ფინალში უკანასკნელ შეხვედრამდე დაუმარცხებლად იბრძოდა ეკონომიური ფაკულტეტის კალათბურთელთა გუნდი. ეკონომისტებისა გუნდმა მხოლოდ უკანასკნელ შეხვედრაში განიცადა დამარცხება გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გუნდთან. თავის მხრივ, ამ უკანასკნელმა ნოლი ქულა მიიღო მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის გუნდთან გამოცხადებულობის გამო და II ადგილით დაკმაყოფილდა. I ადგილზე წინად ბედათ ეკონომისტებს. III ადგილზე გამოვიდა ალმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის კალათბურთელთა კოლექტივი ბატონ ვეტერ ქარლო ალეშვილის ხელმძღვანელობით.

ლ. გენგაშვილი

25 ოქტომბერს, 15 საათსა
და 30 წუთზე ჩაეკარდება
ამანათრბენი
გაზეთ
„ახალგაზრდა
სტალინელის“
გარდამავალ თასზე*

ამანათრბენის ჩატარების გეგმა

მსაჯთა კოლეგია და ფაკულტეტების მიერ გამოყოფილი პასუხისმგებელი პირები 25 ოქტომბერს შეიკრიბებიან ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრაზე 13 საათზე.

მონაწილეთა ეტაპებზე განაწილება ხდება ფაკულტეტებიდან გამოყოფილ პასუხისმგებელ პირთა ხელმძღვანელობით და მთავრდება საწყისის მიცემამდე 20 წუთით ადრე (საწყისი მიეცემა 15 საათსა და 30 წუთზე).

მონაწილეთა და გუნდების დაჯილდოება ხდება შეჯიბრების დამთავრების შემდეგ. შემაჯამებელ აღლუმზე ყველა მონაწილე გუნდის გამოცხადება სავალდებულოა. მონაწილენი ეწყობიან გუნდის წარმომადგენელთან ერთად კალათბურთის მოედანზე. კოლონის თავში დგებიან I და XII ეტაპზე გამარჯვებული მძლეოსნები.

ეტაპების ალფარილობა

I ეტაპი: სტალინის სახელობის სანაპიროდან (საინენერო ქუჩის დასაწყისი) ჯორჯიაშვილის ქუჩის გავლით, რუსთაველის პროსპექტზე კავშირგამბეჭდობის სახლამდე — 600 მ (ვაჟები);

II ეტაპი: კავშირგამბეჭდობის სახლიდან პოინერთა სასახლემდე — 250 მ (ვაჟები);

III ეტაპი: პოინერთა სასახლიდან ვ. ი. ლენინის ძეგლამდე ლენინის მოედანზე — 280 მ (ქალები);

IV ეტაპი: ვ. ი. ლენინის ძეგლიდან აეროფლოტის საგენტომდე — 340 მ (ვაჟები);

V ეტაპი: აეროფლოტის საგენტოდან კინოთეატრ „რუსთაველამდე“ — 200 მ (ქალები);

VI ეტაპი: კინოთეატრ „რუსთაველიდან“ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრამდე — 300 მ (ვაჟები);

VII ეტაპი: რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრიდან მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალამდე — 390 მ (ვაჟები);

VIII ეტაპი: მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალიდან მოზარდ-მაყურებელთა ქართული თეატრამდე 320 მ (ვაჟები);

IX ეტაპი: მოზარდ-მაყურებელთა ქართული თეატრიდან ლენინის ქუჩის გავლით გაზ. „კომუნისტის“ რედაქციამდე, — 340 მ (ვაჟები);

X ეტაპი: გაზ. „კომუნისტის“ რედაქციიდან მელიქიშვილის ქუჩაზე გავლით სამედიცინო ინსტიტუტამდე — 350 მ (ვაჟები);

XI ეტაპი: სამედიცინო ინსტიტუტიდან მელიქიშვილის ქუჩაზე მდებარე № 43 პორის მაღაზიამდე — 280 მ (ვაჟები);

XII ეტაპი: აღნიშნული მაღაზიიდან უნივერსიტეტის I კორპუსის ეზომდე — 370 მ (ქალები);

ეტაპებზე მიმაგრებული ფაკულტეტები

I ეტაპი და ფინიში — ფიზიკურ-ბრძოლის კათედრა; II ეტაპი — ფიზიკის ფაკულტეტი; III ეტაპი — ეკონომიური ფაკულტეტი; IV ეტაპი — ბიოლოგიის ფაკულტეტი; V ეტაპი — მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი; VI ეტაპი — გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი; VII ეტაპი — ისტორიის ფაკულტეტი; VIII ეტაპი — ალმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი; IX ეტაპი — იურიდიული ფაკულტეტი; X ეტაპი — დასავლეთ-ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი; XI ეტაპი — ქიმიის ფაკულტეტი; XII ეტაპი — ფილოსოფიის ფაკულტეტი.

* ამანათრბენი, როგორც ჩვენი გაზ. 6 ოქტომბრის ნომერში იყო აღნიშნული, უნდა ჩატარებულიყო 17 ოქტომბერს, მაგრამ იგი აღნიშნულ დღეს ვერ ჩატარდა უნივერსიტეტის მძღოლთანა ნაკრების საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის გამგზავრების გამო.

რედაქტორი ია. ვეშვაიძე

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ა. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტელეფონი 2—88—84

ა. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა, ა. ჭავჭავაძის გამზირი № 1. ტირაჟი 1.500, უე 026